ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 130

8 მაისი
"---"-------- 2015 წ.

ქ. თბილისი

შპს "თბილსერვის ჯგუფის" კაპიტალში ფულადი შენატანის განხორციელებასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიის შპს „თბილსერვის ჯგუფის" ადმინისტრაციის მიერ 22/04/2015 წლის №2/1010 (რეგისტრაციის №QN1303726) წერილით, მოთხოვნილია შუამდგომლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან „შპს „თბილსერვის ჯგუფის" კაპიტალის გაზრდის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 24/12/2014 წლის №21.09.308 განკარგულებით გათვალისწინებული თანხიდან (3 400 000 ლარი) კომპანიის საბანკო ანგარიშზე ჩაურიცხავი 1 900 000 ლარის მიღების თაობაზე, რაც დასტურდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის 27/04/2015 წლის №08/15117200-9 წერილით (რეგისტრაციის №08-8/660). ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია შპს „თბილსერვის ჯგუფის" ბალანსზე რიცხული სხვადასხვა ზომის საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემგროვებელი, მწყობრიდან გამოსული, კონტეინერების განახლებისთვის საჭირო დაფინანსების წყაროს მოძიება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის 127-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 9^1 მუხლის საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანია, შპს „თბილსერვის ჯგუფისთვის" (ს/კ 206267494) კომპანიის ბალანსზე რიცხული სხვადასხვა ზომის საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემგროვებელი, მწყობრიდან გამოსული, კონტეინერების განახლებისთვის საჭირო 1 900 000 (ერთიმილიონცხრაასიათასი) ლარის ოდენობით მოძიებული ფინანსური რესურსი (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით „დასუფთავების ღონისძიებებისთვის", კოდი 3.2, გათვალისწინებულ ასიგნებებში) ფულადი შენატანის განხორციელებაზე.
2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი